ხელშეკრულება N107

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხაშური 10 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი გურასპაშვილის სახით და მეორეს მხრივ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსის ზურაბ ჭელიძის სახით (შემდგომში - სააგენტო), ვხელმძღვანელობთ რა *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად* ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:
წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება:

1.1. მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები – 50 სმ^3-ზე მეტი ძრავის მუშა მოცულობის მქონე სატრანსპორტო საშუალება (მოპედის გარდა), აგრეთვე ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათი მისაბმელები, ნომრიანი აგრეგატები და დამხმარე ტექნიკური საშუალებები, რომლის დადგენილ წესით რეგისტრაციასაც ახდენს სააგენტო.
1.2. რეგისტრაცია – "მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ" საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით განსაზღვრული წესით, სააგენტოს მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაცია, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელება, სარეგისტრაციო ნიშნების მინიჭება, საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისათვის მათი დაშვება და დადგენილი წესით სარეგისტრაციო სისტემაში და დოკუმენტებში ინფორმაციის აღრიცხვა.
1.3. რეგისტრაციაში ცვლილებები – სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას სააღრიცხვო მონაცემებში და მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა დოკუმენტში ცვლილებათა შეტანა;
1.4. სარეგისტრაციო ნიშნები _ სანომრე ნიშანი, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა (ტექნიკური პასპორტი), დროებითი მოწმობა, ტრანზიტი, შიდა ტრანზიტი, ტექნიკური ტალონი, სპეციალური სანომრე ნიშანი "TEST-ი.
1.5. საფასური - „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურებისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სავალდებულო გადასახდელი, დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით, რომელიც გადაიხდება სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის;
1.6. მომსახურება – კანონმებლობით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საექსპერტო შემოწმება; დათვალიერება; რეგისტრაცია; დაჩქარებული მომსახურება; აგრეთვე სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა მომსახურება.
1.7. დაჩქარებული მომსახურება – შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მომსახურების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაზე უფრო შემჭიდროებულ დროში;

მუხლი 2 . ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა (ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ პასპორტებში ცვლილებების და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო სანომრე ნიშნების შეცვლის მომსახურების შესყიდვა დანართი N1-ის მიხედვით) ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული სავარაუდო ღირებულების ფარგლებში (CPV კოდი: 75100000).

მუხლი 3 . ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს და მისი ოდენობა დაზუსტდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.
3.2. მომსახურების ტარიფები – მომსახურების ტარიფები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3.3. გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
3.4. გადახდის გრაფიკი - ეტაპობრივად, მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, კანონმდებლობით დადგენილი, შესაბამისი დოკუმენტაციის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 4. სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები

4.1. სააგენტო ვალდებულია:
4.1.1. კანონით განსაზღვრულ ვადებში განიხილოს შემსყიდველის განცხადება მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის შესახებ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
4.1.2. იმ შეთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტები და მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები სრულად აკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს მოახდინოს მათი რეგისტრაცია და მიანიჭოს სარეგისტრაციო ნიშნები;
4.1.3. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია;
4.1.4. რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში დაუსაბუთოს ზეპირად ან/და წერილობით მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.
4.1.5. შემსყიდველის მიერ რეგისტრაციის დოკუმენტებში ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში ხელმეორედ განიხილოს იგი;
4.1.6. გაუწიოს შემსყიდველს ჯეროვანი მომსახურება;
4.1.7. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;
4.1.8. შემსყიდველის მიერ საფასურის კანონით დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში, წერილობით მოთხოვნის საფუძველზე, დაუბრუნოს შემსყიდველს სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით დადგენილ განაკვეთს შორის;
4.1.9. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.
4.2. სააგენტოს უფლება აქვს:
4.2.1. კანონიერი საფუძვლის არსებობისას უარი განაცხადოს მომსახურების განხორციელებაზე;
4.2.2. რეგისტარციის განხორციელებისას მოითხოვოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;
4.2.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ;
4.2.4. მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება;
4.2.5. შემსყიდველთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5. შემსყიდველის უფლებები და ვალდებულებები

5.1 შემსყიდველი ვალდებულია:
5.1.1. დაემორჩილოს სააგენტოს კანონიერი მოთხოვნები;
5.1.2. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისათვის სრულად წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და გაიაროს ყველა საჭირო პროცედურა;
5.1.3. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

5.1.4. სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ;
5.1.5. ხელი შეუწყოს სააგენტოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში;
5.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
5.2.1. კანონიერი საფუძვლის არსებობისას მოითხოვოს მომსახურების გაწევა;
5.2.2. მოსთხოვოს სააგენტოს ჯეროვანი მომსახურების გაწევა;
5.2.3. მოითხოვოს დაჩქარებული მომსახურების გაწევა;
5.2.4. იდავოს რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია;
5. 2.5. მომსახურების დაწყებამდე უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე;
5.2.6. მოითხოვოს რეგისტრაციის ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლები;
5.2.7. მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია;
5.2.8. მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება
5.2.9. მოითხოვოს სააგენტოს მოთხოვნის კანონიერების დასაბუთება;
5.2.10. სააგენტოსთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის.

6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (ფორსმაჟორი). მისი არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებისას წამოჭრილი დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.
8.2. 20 დღის განმავლობაში ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევში, მხარეებს უფლება აქვთ იდაონ სასამართლო წესით.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მხარეებს უფლება არა აქვთ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს.
9.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.3. მხარეები ვალდებულნი არიან იხმარონ ყევლა ღონე, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
9.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, (ორი „შემსყიდველს", ერთი „მიმწოდებელს"), რომელის ერთი ეგზემპლიარი გადაეცა სააგენტოს, ხოლო ორი ეგზემპლარი შემსყიდველს.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის დროს განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი, ხოლო სააგენტო ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 დეკემბრამდე.
10.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022; საიდენტიფიკაციო კოდი: №243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი _____ გიორგი გურასპაშვილი

ბ. ა.

სააგენტო

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო
იურ. მის: რუსთავი, თბილისი–წითელი ხიდის გზატკეცილი 21–ე კმ
ს/კ №205190513 სახელმწიფო ხაზინა
ა/ა 707157051; ხაზინის კოდი №TRESGE22

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს ეკონომიკური
და ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი _____ ზურაბ ჭელიძე

ბ. ა.

ხელშეკრულება N107-ის დანართი N1

N	ავტომანქანის მარკა	სახელმწიფო ნომერი
1	TOYOTA LAND CRUISER PRADO	BHB 779
2	RENAULT LOGAN	RR 658 BB
3	TOYOTA HILUX	FXF 526
4	MITSUBISHI PAJERO IO	WII 251
5	HYUNDAI TUCSON	WTW 557

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი გურასპაშვილი

ბ.ა.

სააგენტო:

დეპარტამენტის უფროსი

ზურაბ ჭელიძე

ბ.ა.